ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2857563

ნომერი: AR1439351

თარიღი : 23.09.2016

გაცემის თარიღი : 29.09.2016

გაცნობის თარიღი : 29.09.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შეშელიძე , ხიდის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , გამზირი გურამიშვილი , N 76 , (ნაკვეთი N26/36) ; ქალაქი თბილისი , გამზირი გურამიშვილი , N 76 , (ნაკვეთი N26/60) ; ქალაქი თბილისი , გამზირი გურამიშვილი , N 76 , (ნაკვ. 26/51) ; ქალაქი თბილისი , გამზირი გურამიშვილი , N 76 , (ნაკვეთი N 026/052) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ჯონი საჯაია პ/ნ 29001010539
- ჯავახეთის ქ. 9კ. ბინა1

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1439351 23.09.2016 წ. განაცხადის პასუხად რომლითაც ითხოვთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებას გაცნობებთ შემდეგს:
თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთებზე სამსახურის მიერ შეთანხმებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა.ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ, თ. თბილისში, გლდანი–ნაძალადევის რაიონში, გურამიშვილის გამზ. #76-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის, სავაჭრო-საყოფაცხოვრებო, საოფისე და სხვა ფუნქციის ობიექტების მშენებლობისთვის, განაშენიანების რეგულირების გეგმის დასამუშავებლად გაიცა #2924 (11.07.07) ქალაქთმშენებლობითი პირობები, რომლის მიერ #01/194 (05.03.2008) ბრძანებით შეთანხმდა განაშენიანების რეგულირების გეგმა. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ #01/189 (01.02.2011) და ბრძანება №971278 31.10.2013 წ. ბრძანებებით განხორციელდა განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება. შესაბამისად თქვენი მოთხოვნის განსახორციელებლად უნდა მოხდეს ზემოაღნიშნული დოკუმენტის კორექტირება. რისთვისაც Tas.ge–ზე ამავე განაცხადზე უნდა შეცვალოთ ნომენკლატურა და აირჩიოთ: <u>განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება.</u>

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.